

კავკასიის უნივერსიტეტი



კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF TECHNOLOGY

სამაგისტრო პროგრამა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება		
	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე		
	Information Technology Management	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური		
	მაგისტრატურა	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი		
	აკადემიური	
სწავლების ენა		
	ქართული	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია		
ქართულად:	ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში	040101
ინგლისურად:	Master of Engineering in Information Technology	040101
პროგრამის დამტკიცების თარიღი	2014 წლის 12 თებერვალი	
პროგრამის ხელმძღვანელი		
	პროფესორი მაქსიმ იავიჩი	

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის ათვისება.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისა და კონსულტაციებისთვის განკუთვნილ დროს.

პროგრამით განსაზღვრული დატვირთვის კრედიტების საერთო რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:

1. სავალდებულო საგნების მოდული – 48 ECTS კრედიტი
2. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS კრედიტი
 - სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი
3. არჩევითი აკადემიური აქტივობის მოდული – 42 ECTS კრედიტი (პროგრამით განსაზღვრული 114 ECTS კრედიტიდან)
 - თეორიული საგნები - 42 ECTS კრედიტი
 - პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნები – 60 ECTS კრედიტი
 - პროფესიული პრაქტიკა – 12 ECTS კრედიტი
 - თავისუფალი კომპონენტები - 12 ECTS კრედიტი.

პროგრამის ზოგიერთი კომპონენტი ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს შესაბამისი ან მონათესავე (ინჟინერია, ბიზნესის ადმინისტრირება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) დარგის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს.
- პროგრამაზე მიღების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდა. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
- კავკასიის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გასაუბრება.
- პროგრამაზე მიღების დამატებითი წინაპირობაა შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება ინგლისურ ენაში (ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტი თავისუფლდება ტესტირებისგან). ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები თავისუფლდებიან სერტიფიკატის წარმოდგენისა და გამოცდისაგან.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება, იქ არსებული სამაგისტრო პროგრამების თავისებურებები. პროგრამის შემუშავება ეფუძნება პარტნიორი უნივერსიტეტების (Tallinn University of Technology; Upper Austria University of Applied Sciences (Hagenberg); Kaunas University Of Technology) დარგის წამყვანი სპეციალისტებისა და პროფესორების რეკომენდაციებს, რომელთაც ტექნოლოგიების სკოლის ადმინისტრაცია და პროგრამაში ჩართული პროფესორები იღებდნენ უნივერსიტეტებში გაცვლითი ვიზიტებისას და ასევე პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლაში განხორციელებულ საკონსულტაციო შეხვედრებზე.

პროგრამის თავისებურება გამოიხატება გარკვეული საკითხების ღრმად შესწავლაში, რომელთა შერჩევა მოხდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერებზე არსებული და მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, როგორც საქართველოს შრომით ბაზარზე, ასევე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის სასწავლო პროცესი ეყრდნობა სამეცნიერო კვლევის ელემენტების გათვალისწინებით პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს. ის კონცენტრირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის უახლესი სამეცნიერო თუ პრაქტიკული ინფორმაციით გამდიდრებული დისციპლინების სიღრმისეულ სწავლებაზე. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს დარგში ღრმა თეორიული ცოდნა და კარგად დაეუფლოს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გააზრებული პროპორციულობა საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულმა უზრუნველყოს პერსპექტიული სპეციალისტის კარიერა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამის მიზანი

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს გამოუმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, მისცეს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა, ასევე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა და ამით უზრუნველყოს კვალიფიკაციის შესაბამისად წამყვან პოზიციებზე მათი დასაქმება;
- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალი დონის სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნითა და ბიზნესის გარემოსა და სტრატეგიის კარგი ანალიზის, ინოვაციური მეთოდებით მართვის და პრობლემების ანალიტიკურად გადაჭრის უნარით.

პროგრამის სწავლის შედეგები

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- ინფორმაციული სისტემების უახლესი თეორიების, მართვის მეთოდოლოგიებისა და საერთაშორისო სტანდარტების საფუძვლიანი ცოდნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის საფუძვლიანად გააზრების და პრაქტიკაში გაზიარების უნარი;
- ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურის ეფექტურად დაგეგმვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების სტრატეგიის შემუშავების, სერვისების მიწოდება/მომსახურების პროცესების ჩამოყალიბებისა და მათი მართვის უნარი;
- ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდების გამოყენების, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების უნარი. სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, სარისკო და დინამიურად ცვალებად გარემოში მოქმედების უნარი;
- თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიების ორგანიზაციაზე მორგებისა და გამოყენების, ინფორმაციული სისტემების კომპლექსური პრობლემების შეფასების, შედეგების ანალიზისა და მათი ინოვაციური მეთოდით გადაჭრის უნარი;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეთიკური პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა, საინფორმაციო უსაფრთხოების, მისი დანაშაულისა და ეთიკის პრინციპების გაცნობიერების და ეთიკური დილემების გადაჭრის უნარი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული კვლევების სათანადო დონეზე წარმართვის და სამეცნიერო კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების უნარი.

დასაქმების სფეროები

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა აერთიანებს ტექნიკურ და მენეჯერულ კომპონენტებს, კურსდამთავრებულებს ეძლევათ განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობები პროფესიული წინსვლისთვის.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს დასაქმდნენ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციაში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო სექტორი, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და სხვა.

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ პოზიციებზე, როგორცაა: საინფორმაციო სისტემების კონსულტანტი, მთავარი საინფორმაციო ოფიცერი (CIO), მთავარი ტექნიკური ოფიცერი, პროექტის მენეჯერი, ტექნიკური სპეციალისტი, ქსელის მენეჯერი/ანალიტიკოსი, ბიზნეს ანალიტიკოსი, მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მენეჯერი, და ა.შ.

საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები არიან როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს კომპანიები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, საერთაშორისო კომპანიები, სატელეკომუნიკაციო კომპანიები და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მონათესავე სადოქტორო პროგრამებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, გარდა იმ სადოქტორო პროგრამებისა, რომელთა აუცილებელი მოთხოვნაა მაგისტრის დიპლომის ფლობა იგივე სპეციალობაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ელექტრონული სწავლება (E-learning);
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი;
- სწავლების დედუქციური მეთოდი;
- ანალიზის მეთოდი;
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამას ემსახურება კავკასიის უნივერსიტეტის ოცდაერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კერძოდ, ექვსი პროფესორი, ერთი ასოცირებული პროფესორი, ერთი ასისტენტ-პროფესორი, ერთი ასისტენტი და თორმეტი მოწვეული ლექტორი, რომლებიც საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად, უშუალო მონაწილეობას იღებენ სტუდენტებში პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებაში.

პროგრამის სხვა რესურსები

პროგრამის განხორციელებაში საუნივერსიტეტო შიდა რესურსის გარდა, მონაწილეობენ უნივერსიტეტის პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები, საჯარო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები.

კავკასიის უნივერსიტეტის და კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მემორანდუმების ფარგლებში პარტნიორი საჯარო და კერძო ორგანიზაციებია: შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარი; სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი; შპს ომედა; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; EY; შპს იმობილიარე; სილკნეტი; იუ-ჯი-თი; Orient Logic; შპს „MyGPS“, შპს „ZETEN“, ინსტიტუტი „ოპტიკა“, შპს „გურამექსი“, იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, თბილისის მერია.

კავკასიის უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს და მემორანდუმები აქვს გაფორმებული ტექნოლოგიების მიმართულებით შემდეგ უნივერსიტეტებთან:

Tallinn University of Technology; Riga Technical University; Upper Austria University of Applied Sciences (Hagenberg); University of Southern Denmark; Fairleigh Dickinson University; Kaunas University Of Technology; Ming Chuan University of Taiwan; Universidad Autonoma de Gvadalajara, Mexico; IESB, Brasilia Higher Education Institute, Brazil.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი, სათანადოდ აღჭურვილი ელექტრონიკის და კომპიუტერული ქსელების ლაბორატორია. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელექტრონული ფონდი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.

საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია პროგრამისთვის შემუშავებული საკუთარი ბიუჯეტით, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი				
				I		II		ECTS კრედიტი
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	ITSM 5140		საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა	×				6
2.	ISM 5141		საინფორმაციო სისტემები	×				6
3.	ISM 5145		მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი	×				6
4.	MNG 5140		სტრატეგიული მენეჯმენტი	×				6
5.	ISM 5241		ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში		×			6
6.	ISM 5244		ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები		×			6
7.	ISM 5343	ISM 5141	საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება			×		6
8.	WRT 5340		აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები			×		6
9.	MST 5441	WRT 5340	სამაგისტრო ნაშრომი				×	30
არჩევითი სასწავლო კურსები								
10.	ISM 5143		ელექტრონული მმართველობა	×				6
11.	ISM 5144		ენტერფრაიზის არქიტექტურა	×				6
12.	ISM 5146		პროგრამული ინჟინერია	×				6
13.	BUSA 5240		ბუღალტერია და ფინანსები	×				6
14.	MK 5240		სტრატეგიული მარკეტინგი	×				6
15.	ISM 5245	ISM 5141	საინფორმაციო სისტემების მართვა		×			6

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	სწავლების წელი					
				I		II		ECTS კრედიტი	
				ECTS კრედიტი					
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
16.	ISM 5246		კიბერუსაფრთხოება მენეჯერთათვის		x			6	
17.	ISM 5341		მონაცემთა კომუნიკაცია და ქსელები		x			6	
18.	ISM 5342		ქლაუდ ტექნოლოგიები		x			6	
19.	ISM 5344		პროექტის მართვა		x			6	
20.	ISM 5345		თანამედროვე კრიპტოგრაფია		x			6	
21.	STAT 5340		სტატისტიკა მენეჯერებისთვის		x			6	
22.	MNG 5340		გადაწყვეტილების მიღების თეორია		x			6	
23.	ISM 5441	STAT 5340	მონაცემთა შენახვა			x		6	
24.	ISM 5442		ინტერნეტ ტექნოლოგიები			x		6	
25.	MNG 5441		ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა			x		6	
26.	MNG 5442		ადამიანური რესურსების მართვა			x		6	
27.	PRW 5440		პროფესიული პრაქტიკა			x		12	
28.			თავისუფალი კრედიტი		x				
ECTS კრედიტები				სემესტრში		30	30	30	30
				წელიწადში		60		60	

პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/სთ	ლექცია / პრაქტიკული	სემინარი	გამოცდა	პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისთვის მზადება
1	ITSM 5140	საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა	6/150	21	5	4		120
2	ISM 5141	საინფორმაციო სისტემები	6/150	23	3	4		120
3	ISM 5145	მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი	6/150	23	3	4		120
4	MNG 5140	სტრატეგიული მენეჯმენტი	6/150	18	6	4	2	120
5	ISM 5241	ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში	6/150	17	7	4	2	120
6	ISM 5244	ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები	6/150	19	5	4	2	120
7	ISM 5343	საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება	6/150	22	4	4		120
8	WRT 5340	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	6/150	24		4	2	120
9	MST 5441	სამაგისტრო ნაშრომი	30/750	20				730
10	ISM 5143	ელექტრონული მმართველობა	6/150	18	6	4	2	120
11	ISM 5144	ენტერპრაიზის არქიტექტურა	6/150	19	5	4	2	120
12	ISM 5146	პროგრამული ინჟინერია	6/150	22	4	4		120
13	BUSA 5240	ბუღალტერია და ფინანსები	6/150	18	6	4	2	120
14	MK 5240	სტრატეგიული მარკეტინგი	6/150	20	4	4	2	120
15	ISM 5245	საინფორმაციო სისტემების მართვა	6/150	23		4	3	120
16	ISM 5246	კიბერუსაფრთხოება მენეჯერთათვის	6/150	20	2	4	4	120
17	ISM 5341	მონაცემთა კომუნიკაცია და ქსელები	6/150	21	5	4		120
18	ISM 5342	ქლაუდ ტექნოლოგიები	6/150	22	4	4		120
19	ISM 5344	პროექტის მართვა	6/150	22	2	4	2	120
20	ISM 5345	თანამედროვე კრიპტოგრაფია	6/150	21	5	4		120
21	STAT 5340	სტატისტიკა მენეჯერებისთვის	6/150	22	4	4		120
22	MNG 5340	გადაწყვეტილების მიღების თეორია	6/150	21	5	4		120
23	ISM 5441	მონაცემთა შენახვა	6/150	19	5	4	2	120
24	ISM 5442	ინტერნეტ ტექნოლოგიები	6/150	21	3	4	2	120
25	MNG 5441	ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა	6/150	24		4	2	120
26	MNG 5442	ადამიანური რესურსების მართვა	6/150	21	3	4	2	120
27	PRW 5440	პროფესიული პრაქტიკა	12/300	240				60

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

#	სემესტრი	კოდი	სასწავლო კურსი	სწავლის შედეგები					
				ინფორმაციული სისტემების უახლესი თეორიების, მართვის მეთოდოლოგიებისა და საერთაშორისო სტანდარტების საფუძვლიანი ცოდნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის საფუძვლიანად გააზრების და პრაქტიკაში გაზიარების უნარი	ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურის ეფექტურად დაგეგმვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების სტრატეგიის შემუშავების, სერვისების მიწოდება/მომსახურების პროცესების ჩამოყალიბებისა და მათი მართვის უნარი	ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდების გამოყენების, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების იმსტრუქტურის გამოყენების უნარი. სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, სარისკო და დინამიურად ცვალებად გარემოში მოქმედების უნარი	თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიების ორგანიზაციაზე მორგებისა და გამოყენების, ინფორმაციული სისტემების კომპლექსური პრობლემების შეფასების, შედეგების ანალიზისა და მათი ინოვაციური მეთოდით გადაჭრის უნარი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეთიკური პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა, საინფორმაციო უსაფრთხოების, მისი დანაშაულისა და ეთიკის პრინციპების გაცნობიერების და ეთიკური დილემების გადაჭრის უნარი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული კვლევების სათანადო დონეზე წარმართვის და სამეცნიერო კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების უნარი
1.	I	ITSM 5140	საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა	მაღალი ¹	მაღალი			საშუალო ²	
2.	I	ISM 5141	საინფორმაციო სისტემები	მაღალი	მაღალი		საშუალო		
3.	I	ISM 5145	მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების	დაბალი ³		მაღალი		საშუალო	
4.	I	MNG 5140	სტრატეგიული მენეჯმენტი			მაღალი	საშუალო		
5.	II	ISM 5241	ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში	დაბალი		მაღალი		საშუალო	
6.	II	ISM 5244	ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP)	დაბალი	მაღალი		მაღალი		
7.	III	ISM 5343	საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება		დაბალი		საშუალო	მაღალი	
8.	III	WRT 5340	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები					საშუალო	მაღალი
9.	IV	MST 5441	სამაგისტრო ნაშრომი	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი	საშუალო	მაღალი

¹ სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის მაღალი.

² სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის საშუალო.

³ სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის დაბალი.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

#	სემესტრი	კოდი	სასწავლო კურსი	სწავლის შედეგები					
				ინფორმაციული სისტემების უახლესი თეორიების, მართვის მეთოდოლოგიებისა და საერთაშორისო სტანდარტების საფუძვლიანი ცოდნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის საფუძვლიანად გააზრების და პრაქტიკაში გაზიარების უნარი	ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურის ეფექტურად დაგეგმვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების სტრატეგიის შემუშავების, სერვისების მიწოდება/მომსახურების პროცესების ჩამოყალიბებისა და მათი მართვის უნარი	ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდების გამოყენების, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების უნარი. სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, სარისკო და დინამიურად ცვალებად გარემოში მოქმედების უნარი	თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიების ორგანიზაციაზე მორგებისა და გამოყენების, ინფორმაციული სისტემების კომპლექსური პრობლემების შეფასების, შედეგების ანალიზისა და მათი ინოვაციური მეთოდით გადაჭრის უნარი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეთიკური პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა, საინფორმაციო უსაფრთხოების, მისი დანაშაულისა და ეთიკის პრინციპების განხილვების და ეთიკური დილემების გადაჭრის უნარი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული კვლევების სათანადო დონეზე წარმართვის და სამეცნიერო კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების უნარი
1.	I	ITSM 5140	საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა	70 %	70 % ²			60 % ¹	
2.	I	ISM 5141	საინფორმაციო სისტემები	70 %	60 %		70 %		
3.	I	ISM 5145	მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი	60 %		70 %		60 %	
4.	I	MNG 5140	სტრატეგიული მენეჯმენტი			60 %	60 %		
5.	II	ISM 5241	ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში	60 %		60 %		60 %	
6.	II	ISM 5244	ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP)	70 %	70 %	70 %	70 %		
7.	III	ISM 5343	საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება		70 %	70 %	70 %	70 %	
8.	III	WRT 5340	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები					60 %	60 %
9.	IV	MST 5441	სამაგისტრო ნაშრომი	60 %	60 %	60 %	70 %	70 %	70 %

¹ სასწავლო კურსის სწავლის შედეგი ეფექტურად აღწევს პროგრამის სწავლის შედეგს თუ ჯგუფის საშუალო ქულა არის 60 % და მეტი.

² სასწავლო კურსის სწავლის შედეგი ეფექტურად აღწევს პროგრამის სწავლის შედეგს თუ ჯგუფის საშუალო ქულა არის 70 % და მეტი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ავთანდილ ყავრელიშვილი	პროფესორი	საინფორმაციო სისტემები
			მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი
			საინფორმაციო სისტემების მართვა
2.	დავით კაპანაძე	პროფესორი	სტატისტიკა მენეჯერებისთვის
3.	აკაკი ხვედელიძე	მოწვეული ლექტორი	მონაცემთა კომუნიკაცია და ქსელები
4.	ანდრია გოცირიძე	მოწვეული ლექტორი	კიბერუსაფრთხოება მენეჯერთათვის
5.	ანდრო დგებუაძე	მოწვეული ლექტორი	ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები
			ენტერფრაიზის არქიტექტურა
6.	გივი კუპატაძე	მოწვეული ლექტორი	გადაწყვეტილების მიღების თეორია
7.	გიორგი ციმინტია	მოწვეული ლექტორი	პროექტის მართვა
8.	გიორგი ალხაზიშვილი	მოწვეული ლექტორი	პროგრამული ინჟინერია
9.	გიორგი დათუკიშვილი	პროფესორი	ქლაუდ ტექნოლოგიები
10.	რუსუდან ჩაჩანიძე	მოწვეული ლექტორი	ბუღალტერია და ფინანსები
11.	იოსებ მმანაშვილი	პროფესორი	ინტერნეტ ტექნოლოგიები
12.	ლილი ბიბილაშვილი	მოწვეული ლექტორი	ადამიანური რესურსების მართვა
13.	მადონა გიორგაძე	მოწვეული ლექტორი	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები
14.	მაქსიმ იავიჩი	პროფესორი	თანამედროვე კრიპტოგრაფია
15.	გიორგი იაშვილი	ასისტენტი	საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება
16.	მედეა გელუნავა	ასოცირებული პროფესორი	მონაცემთა შენახვა
17.	მერაბ თავართქილაძე	პროფესორი	ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში
18.	ნატალია მუმლაური	მოწვეული ლექტორი	სტრატეგიული მარკეტინგი
19.	ნინო ანდრიაძე	მოწვეული ლექტორი	ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა
20.	პაატა სირბილაძე	ასისტენტ პროფესორი	ელექტრონული მმართველობა
			სტრატეგიული მენეჯმენტი
21.	სერგი ბეჟაშვილი	მოწვეული ლექტორი	საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა